



**ჩინეთის სოფლის მეურნეობის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის მე-4 ფორუმი
(სოფლის მეურნეობის ონლაინ ფორუმი)**

თარიღი: სრული ღონისძიების მიმდინარეობა - ოქტომბერი 2020 – მარტი 2021

გახსნის ღონისძიება და მთავარი პანელები - 23 ნოემბერი, 2020 – 2 დეკემბერი, 2020

ფორუმის შესახებ:

აგრარული ინდუსტრიის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობა „სარტყელისა და გმის“ სტრატეგიის ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტია. პანდემიის პირობებში მსოფლიო რთული გამოწვევების წინაშე დადგა. საერთაშორისო სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის ფორუმის მთავარი მიზანი კოვიდ 19-ის ნეგატიური ზემოქმედების შემცირება და მონაწილეთა შორის თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების შექმნაა.


ფორუმის ფარგლებში, სფეროების მიხედვით გაიმართება პარალელური ონლაინ პანელები, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის წარმოების მთლიან ჯაჭვს; შეიქმნება სავაჭრო თანამშრომლობის საერთო პლატფორმები; საიმპორტო პროდუქციის წახალისების მიზნით, სანარმოების მიერ წინასწარ მიწოდებული ნიმუშების მიხედვით ჩატარდება დეგუსტაცია და გამოვლინდება საუკეთესო საიმპორტო პროდუქცია.

ფორუმის მთავარი ორგანიზატორი: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სასოფლო საქმეთა სამინისტრო

ორგანიზატორები:

ყირგიზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

უმბეკეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ორგანიზატორი და შემსრულებელი: საერთაშორისო ბიზნეს სავაჭრო უწყვეტი სააგენტო ხუახე  HUAHE INTERNATIONAL



თანაორგანიზატორი და წარმომადგენელი საქართველოში: სილქადვიზის ჯგუფი SILKADVICE GROUP

ფორუმზე საერთაშორისო მასშტაბით წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო სტრუქტურები, სავაჭრო პალატები, აგრარული ასოციაციები და კორპორაციები.

ფორუმის მხარდამჭერები:

- ჩინეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის განვითარების ასოციაცია
- სრულიად ჩინეთის საქმიანი ღონისძიებების (MICE) კომიტეტი
- სიანის ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი
- რუსეთის მცირე და საშუალო მენარმეთა ასოციაციის თათარსტანის ფილიალი
- რუსეთის თათარსტანის სამრეწველო პალატა
- აბრეშუმის გზის ეკონომიკური ალიანსი
- სიანის „გზისა და სარტყელის“ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრი

თანაორგანიზატორები:

- ტაჯიკეთის სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია
- რუსეთის მცირე და საშუალო მენარმეთა ასოციაცია
- თათარსტანის სამრეწველო პალატა
- რუსეთის iFarming კომპანია.

• **ღონისძიების თარიღი:**

თარიღი: სრული ღონისძიების მიმდინარეობა - **ოქტომბერი 2020 – მარტი 2021**

გახსნის ღონისძიება და მთავარი პანელები - **23 ნოემბერი, 2020 – 2 დეკემბერი, 2020**

ღონისძიების ფორმატი:

1. Online + Offline

2. შინაარსი:

გახსნის ღონისძიება და ონლაინ-პანელები:

- „სარტყელისა და გმის“ ინიციატივის ფარგლებში სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის პანელი
- სასოფლო ტექნიკის და ტექნოლოგიური აღჭურვილობის საერთაშორისო თანამშრომლობის პანელი
- საერთაშორისო ჩაის ინდუსტრიის განვითარების პანელი
- პანელი „სოფლის მეურნეობა და საერთაშორისო ელექტრონული ვაჭრობა“
- პანდემიის შემდგომი საკვები პროდუქტების უსაფრთხოების პანელი
- პანელი „ჩინეთის სოფლის მეურნეობის დარგში „გასვლითი საინვესტიციო პოლიტიკით“ დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის“

- რეგისტრირებული კომპანიების ინტერესებზე ინდივიდუალურად მორგებული 50-მდე ღონისძიება.
- საიმპორტო პროდუქციის გამოფენა და დეგუსტაცია

ღონისძიების მასშტაბი და გეგმა-მხარდაჭერა:

ფორუმი აერთიანებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, დსთ-ს და აფრიკის 20-ზე მეტ ქვეყანას.

მედია-პარტნიორები: People's Daily, Xinhuanet, CCTV-7 - ცენტრალური ტელევიზიის სასოფლო-სამეურნეო არხი, Farmers' Daily, ჩინეთის სასოფლო საქმეთა აურნალი, ჩინეთის სოფლის მეურნეობის გამომცემლობა, sina.com, ifeng.com და სხვა 50-მდე ჩინეთის წამყვანი ტრადიციული და თანამედროვე მედია საშუალება.

ღონისძიების დეტალური შინაარსი:

თარიღი: ოქტომბერი 2020 - მარტი 2021

1. მონაწილე კომპანიების ინტერესებზე ინდივიდუალურად მორგებული ღონისძიებები:

ჩინეთისა და უცხო ქვეყნის მთავრობების, ვაჭრობის ხელშეწყობის ორგანიზაციების, სავაჭრო პალატების და კომპანიების ჩართულობით, ფორუმის ფარგლებში, მონაწილეთა ინტერესების წინასწარი გათვალისწინებით, გაიმართება დაახლოებით 50 ონლაინ და ოფლაინ ღონისძიება: ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს, მწარმოებლებსა და ინვესტორებს შორის შეხვედრები, თემატური დისკუსიები და სხვა.

2. „აბრეშუმის გზის საუკეთესო პროდუქცია“ - ჩინეთში საიმპორტო პროდუქციის გამოფენა და დეგუსტაცია

თარიღი: 12-21 ნოემბერი, 2020

გამოფენა + დეგუსტაცია + ონლაინ კონკურსი

ჩინეთში საიმპორტო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაცია ჩატარდება ქ.სიანსა და ქ.ჩუნგცინგში. 10 დღის განმავლობაში, ყოველ დღე გაიმართება 1 ღონისძიება და განხორციელდება მისი პირდაპირი ტრანსლაცია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე. ხმის მიცემის

დასრულების შემდეგ, ხმების რაოდენობის მიხედვით გამოვლინდება TOP 10 საიმპორტო პროდუქცია და მთავარ პანელზე მოხდება მათი დაჯილდოება.

3. გახსნის ცერემონიალი

თარიღი: 12:00-13:00, 11 ნოემბერი, 2020

მონეული სტუმრების სიტყვით გამოსვლა, ფორუმის გახსნა

გახსნის ცერემონიალი გაშუქდება ჩინური და უცხოური მედიის მიერ, როგორც სატელევიზიო, ასევე ინტერნეტ არხების საშუალებით.

4. „სარტყელისა და გმის“ ინიციატივის ფარგლებში სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის პანელი და „აბრეშუმის გმის საუკეთესო პროდუქციის“ კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება

თარიღი: 12:00-14:00, 24 ნოემბერი, 2020

სიტყვით გამოსვლები + ხელმოწერის ცერემონიალი + „აბრეშუმის გმის საუკეთესო პროდუქციის“ კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება.

ფორუმის მონაწილე ჩინეთისა და „სარტყელისა და გმის“ ქვეყნებს შორის მომავალი თანამშრომლობის პოტენციალის გაძლიერების მიზნით, პანელის ფარგლებში ჩინელი და უცხოელი მონვეული სტუმრები მიმოიხილავენ მათი ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების არსებულ მდგომარეობას, გააანალიზებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის მდგომარეობას და წარადგინენ სოფლის მეურნეობის საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში არსებულ წამახალისებელ პოლიტიკას. წინასწარ ჩატარებული მოლაპარაკებების საფუძველზე გაფორმდება ორმხრივი შეთანხმებები.

ამავდროულად, ჩატარდება წინასწარი ინტერაქტიული მეთოდით გამოვლენილი ჩინეთის საუკეთესო საიმპორტო პროდუქციის

დაჯილდოვების ცერემონიალი.

5. სასოფლო ტექნიკის და ტექნოლოგიური აღჭურვილობის საერთაშორისო თანამშრომლობის პანელი

თარიღი: 12:00-14:00, 25 ნოემბერი, 2020

ფორუმზე მოწვეული იქნებიან „სარტყელისა და გზის“ წვერი ქვეყნების შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელები, დარგის სპეციალისტები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დარგში ჩინელი და უცხოელი წამყვანი სანარმოები, სრულად იქნება წარმოდგენილი თანამედროვე მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევები, განხილული იქნება ტექნოლოგიური პროდუქცია, ბაზარი, მართვის საკითხები და სხვ. ასევე მოწვეული იქნებიან ცნობილი ჩინური საპარტნიორო ასოციაციის და იმპორტიორი სააგენტოების წარმომადგენლები. ისინი ფორუმის მონაწილეებთან ერთად სხვადასხვა ტაკუსში განიხილავენ თანამშრომლობის შესაძლებლობებს და გაცვლიან მოსაზრებებს.

6. საერთაშორისო ჩაის ინდუსტრიის განვითარების ფორუმი

თარიღი: 12:00-14:00, 26 ნოემბერი, 2020

ფორუმზე მოწვეული იქნებიან ჩინეთის და უცხოური ჩაის ასოციაციების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები, მეცნიერები და ცნობილი ჩაის ბრენდის მწარმოებლები. განხილული იქნება „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში საერთაშორისო ჩაის წარმოების განვითარების საკითხები. ჩაის კულტურის გაცნობით, საპრემენტაციო ვიდეო-რგოლების ჩვენებით და სხვა საშუალებებით, მრავალმხრივ წარმოჩინდება ჩაის კულტურა, ტაც დაეხმარება მისი საერთაშორისო გავლენის გამზდას.

7. პანელი „სოფლის მეურნეობა და საერთაშორისო ელექტრონული ვაჭრობა“

თარიღი: 12:00- 14:00, 27 ნოემბერი, 2020

მოწვეული სოფლის მეურნეობის ექსპერტები, საბაჟო დეპარტამენტების, სოფლის მეურნეობის სექტორების ხელმძღვანელები,

ჩინეთისა და სხვა ქვეყნების კომპანიების წარმომადგენლები მოახდენენ საერთაშორისო ელექტრონული ვაჭრობის პოლიტიკის ანალიზს, სატრანსპორტო და სხვა ტექნოლოგიური ბარიერების კლასიფიკაციას, ერთმანეთს გაუზიარებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის გამოცდილებას, მომხმარებელთა შორის მოთხოვნად პროდუქციას და ოპერირების თავისებურებებს.

8. პანდემიის შემდგომი საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ფორუმი

დრო: 12:00-14:00, 30 ნოემბერი, 2020

ჩინეთისა და უცხო ქვეყნების საბაჟო, პანდემიის კონტროლის დეპარტამენტების ხელმძღვანელები, შესაბამისი სპეციალისტები და ექსპერტები მიმოიხილავენ მსოფლიოს საკვები პროდუქტების უსაფრთხოების მიმდინარე მდგომარეობას და გააკეთებენ შესაბამისი პოლიტიკის ანალიზს, ამასთან მისი გაუმჯობესებისთვის შეიმუშავენ რეკომენდაციებს.

9. პანელი „ჩინეთის სოფლის მეურნეობის დარგში „გასვლითი საინვესტიციო პოლიტიკით“ დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის“

დრო : 12:00-14:00, 1 დეკემბერი, 2020

მონვეული იქნებიან ჩინური და უცხოური სამრეწველო მონების წარმომადგენლები და საერთაშორისო ფინანსისტები. სოფლის მეურნეობის დარგში საერთაშორისო საინვესტიციო გამოცდილების მქონე ჩინური კომპანიები ისაუბრებენ ჩინეთში და მის საზღვრებს გარეთ აგრარულ სექტორში საინვესტიო გარემოზე; განხილული იქნება სხვადასხვა ქვეყნის საინვესტიციო უპირატესობები, პოლიტიკა, რეგულაციები, მსალოდნელი რისკები, ასევე სოფლის მეურნეობების უახლესი საინვესტიციო მიმართულებები და სამომავლო საინვესტიციო შესაძლებლობები.

„აბრეშუმის გზის“ სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის ალიანსის დაარსება

თარიღი: 12:00 – 14:00, 2 დეკემბერი, 2020

ქვეყანათაშორის ეფექტიანი, პრაქტიკული და ხარისხიანი თანამშრომლობის დამყარების მიზნით, მონაწილე ქვეყნების სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი ორგანიზაციების და კომპანიების ინიციატივით დაფუძნდება „აბრეშუმის გზის“ სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის ალიანსი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მარიამ ასათიანი

☎ 599746888

✉ Asatiani.mariam@gmail.com

თინათინ შიშინაშვილი

☎ 599560304

✉ tinatinish@yahoo.com